ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

№ 118 10.10 2016წ

ა.ა.ი.პ. ქ.მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანებასა და ფ.პ. ზაზა ხუციშვილი შორის

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ ქ. მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანება, წარმომადგენელი მისი დირექტორი შორენა არჯევანიძის სახით (შემდგომში "დამკვეთი") ხოლო, მეორეს მხრივ ფ.პ ზაზა ხუციშვილის სახით (შემდგომში "შემსრულებელი") ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. 2016 წლის 14 ოქტომბერს ქ. მცხეთაში სახალხო დღესასწაულ "მცხეთობის" (სვეტიცხოვლობის კვართის) დღესასწაულთან დაკავშირებულ ღონისძიებაზე კერძოდ, გალა-კონცერტზე ბენდთან ერთად გამოსვლა.

CPV კოდი – 92312120 – გასართობი მომსახურებები

2. მხარეთა ვალდებულებები

2.1 "შემსრულებელი" ვალდებულია უზრუნველყოს 2016 წლის 14 ოქტომბერს ქ. მცხეთაში სახალხო დღესასწაულ "მცხეთობის" (სვეტიცხოვლობის კვართის) დღესასწაულთან დაკავშირებულ ღონისძიებაზე კერძოდ, გალა-კონცერტზე ბენდთან ერთად გამოსვლა.
2.2 "შემსრულებელი" უზრუნველყოფს შესრულებული სამუშაოს ხარისხსა და პასუხს აგებს მის უხარისხობაზე თუ იგი გამოწვეულია "შემსრულებლის" არასწორი ქმედებით.
2.3 "დამკვეთი" ვალდებულია აუნაზღაუროს "შემსრულებელს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღირებულება.
2.4 "დამკვეთი" და "შემსრულებელი" იღებენ ვალდებულებას, დროულად და სრულად შეასრულონ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

3. ფასი და გადახდის წესი

3.1 სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 5000 (ხუთიათასი) ლარს.
3.2 ანგარიშსწორების ფორმაა უნაღდო ანგარიშსწორება ეროვნულ ვალუტაში.

4. ხელშეკრულების პირობების შესრულება

4.1 ხელშეკრულების პირობების შესრულებულად ითვლება მას შემდეგ როდესაც ორივე მხრიდან დადასტურდება შესრულების აქტით.

5. ხელშეკრულების პირობების შეცვლა

5.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ერთმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ.
5.2 შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

6. ხელშეკრულების ვადა

6.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება მხარეთა მიერ ხელშეკრულების ორმხრივად ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2016 წლის 21 ნოემბრამდე .

## 7. ფორსმაჟორი

7.1 ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობებისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 8. სადავო საკითხები

8.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან დაკავშირებული მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა წყდება მხარეთა კონსულტაციების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეთა შორის წარმოშობილი დავა წყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 9. დასკვნითი ნაწილი

9.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
9.2 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად ქართულ ენაზე. ორივე ეგზემპლარის ტექსტი იდენტურია და გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

## 10. მხარეთა რეკვიზიტები

**დამკვეთი**

ქ. მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა
და სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანება
ს/კ 436036362
მიმღები ბანკი
სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში

ბ/კ TRESGE22
მიმღების ანგარიში(სახაზინო კოდი) 74 2209921
ქ. მცხეთა მამულაშვილის ქ.12
ტელ: 2 51 25 69

გაერთიანების დირექტორი

შარჯევანიძე

---

**შემსრულებელი**

ფ/პ ზაზა ხუციშვილი
პ.ნ: 01008005129
ბანკი: სს "საქართველოს ბანკი"

ბ.კ: BAGAGE22

ა.ნ: GE65BG0000000914416700

ზ.ხუციშვილი

---

ხელწერილი ინტერესთა კომფლიქტის არარსებობის შესახებ

10.10.16წ

ა.ა.ი.პ ქ. მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი შ.არჯევანიძე და სახალხო დღესასწაულ "მცხეთობასთან" დაკავშირებით შექმნილი დროებითი სამუშაო კომისიის თავმჯდომარე მეგი მამალაძე და "შემსრულებელი" ფ/პ ზაზა ხუციშვილი ვადასტურებთ, რომ არ ვიმყოფებით ინტერესთა კომფლიქტში. ჩვენს მიერ საქონლის დაკვეთა-შესრულება (კოდი –92312120) არ ეწინააღმდეგება "სახელმწიფო შესყიდვების" შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლს და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011. 07.04 №9 ბრძანების გამარტივებული შესყიდვების შესახებ. ასევე, არ ეწინააღმდეგება ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესს (№17 მუხლი). აქედან გამომდინარე, ორივე მხარე არ ვიმყოფებით ინტერესთა კომფლიქტში.

ქ. მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და
სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანების
დირექტორი შ.არჯევანიძე

436036362

სახალხო დღესასწაულ "მცხეთობასთან" დაკავშირებით
შექმნილი დროებითი სამუშაო კომისიის თავმჯდომარე მ .მამლაძე

ფ/პ:ზაზა ხუციშვილი ზ.ხუციშვილი